

0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE**სასწავლო პროცესი და თანამედროვე გამოწვევები****მედიკო ჩაჩიბაია****E-mail: chachibaiaimediko55@gmail.com****რეზიუმე**

სტატია ეხება სწავლების ინტერაქტიულ მეთოდს და სწავლების საუკეთესო საშუალებას – არაპირდაპირი სწავლების სტრატეგიას, როცა საგაკვეთილო პროცესის ძირითადი წარმართველი თვით მოსწავლეა, მასწავლებელი კი ეხმარება მას საგაკვეთილო პროცესის სწორად წარმართვაში. სწავლების ეს პირობები მოსწავლეს აიძულებს, თვითონვე მიიღოს, გადაამუშაოს და დააღაგოს ინფორმაცია, რაც მას აჩვენებს კრიტიკულ აზროვნებას, გამოუმუშავებს პრობლემების გადაჭრისა და გარე სამყაროს შემეცნების უნარს. ყოველივე კი უზრუნველყოფს სააზროვნო უნარების ეფექტიან გაუმჯობესებას და მიმართულია ესგ-ის მიღწევების დონის დაძლევისკენ.

შესავალი

ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება ინტერაქტიული სწავლების მეთოდებსა და შესაბამისად კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. როგორც ყველა ტიპის კონსტრუქტივიზმი, იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც განაპირობებს მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გარდაქმნას მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესად.

ძირითადი ნაწილი

ინტერაქტიული სწავლება მოითხოვს სხვადასხვა მეთოდების შერწყმასა და მათ ერთობლივ გამოყენებას, რაც გულისხმობს სხვადასხვა თვალსაჩინოების, კომპიუტერული ტექნოლოგიების, კერძო მეთოდიკისა და სხვათა ჩართვას სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, სასწავლო მასალის სიღრმისეულ წვდომასა და შესაბამისად, მაღალი სააზროვნო უნარების უკეთ განვითარების გზების ძიებას. აღნიშნული თავის მხრივ საჭიროებს შემდეგი კომპეტენციების დაუფლებას:

1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა.
2. სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული კვლევებისა და პროექტების განხორციელება.
3. განათლების სფეროში სიახლეების ძიება, პრაქტიკაში დანერგვა და გაზიარება.
4. საკუთარ ან სხვა კოლეგებთან პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

საგაკვეთილო პროცესისათვის უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროცესის დაგეგმვა. ცხადია, კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი დიდწილად განსაზღვრავს პროცესის წარმატებულად წარმართვას. სწორედ ამიტომ, სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესის დაგეგმვაა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ საგაკვეთილის შემოქმედებითად წარმართვისათვის გაწეული ძალისხმევა. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ცხადია, უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას, სადაც ვითვალისწინებთ კლასის მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც გასათვალისწინებელია წლიური, თემატური, კალენდარული თუ საგაკვეთილის გეგმების შედგენისას. სამუშაო გეგმებს შორის უმნიშვნელოვანესია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმი. თითოეულ შემთხვევაში ის არის წლის განმავლობაში გასავლელი გზა ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევების დონის დაძლევისაკენ. საგნობრივი კურიკულუმი მოცემული საგნისა და კლასის ფარგლებში აზუსტებს საგნობრივ თემებსა და სამიზნე ცნებებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს, კომპლექსური დავალების სახეებს და ა.შ. რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს შეფასების კრიტერიუმები. ის არის მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი, რომლის საშუალებითაც მოცემული საგნისა და კლასის ფარგლებში (წლის განმავლობაში) ხორციელდება სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი (გრძელვადიანი მიზანი). სკოლაში კურიკულუმი კათედრის ერთობლივი მუშაობის პროდუქტია, რომელიც იქმნება გამოცდილებათა ურთიერთგაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის პირობებში.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ყოველი შემაჯამებელი დავალების ან თემის დასრულებისას კათედრის წევრების მიერ მოხდეს შედეგების რაიმე ფორმით დაფიქსირება.

სასურველია, კათედრის სხდომაზე შედეგების განხილვა გამოცდილებათა გაზიარების მიზნით. ჩემს შემთხვევაში, ზემოაღნიშნულთან ერთად კათედრის სხდომაზე ხორციელდება დებატები, სადაც კათედრის ყველა წევრი ვცდილობთ, კრიტიკულად შევხედოთ თითოეული წევრის იდეებსა და პრაქტიკულ გამოცდილებებს, რის საფუძველზეც კურიკულუმში ფიქსირდება შენიშვნები. ამ გზით წლის ბოლომდე თავს იყრის საკითხები, რომელთა საფუძველზე ხდება კურიკულუმის გამრავალფეროვნება (ანუ კურიკულუმში ფიქსირდება ცვლილებები). ცვლილებების საფუძველზე მასწავლებელი ავსებს კითხვარს, სადაც პასუხობს:

- რამდენმა მოსწავლემ მიიღო დადებითი, უარყოფითი და მაქსიმალური შეფასება?
- მივაღწიეთ თუ არა შედეგს?
- უფრო მეტად რომელი შედეგით ვართ კმაყოფილი?
- რა იყო სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები.

შემდგომ მასწავლებელი წერს მოკლე დასკვნის სახით შემდეგს:

- რა საკითხები იყო მარტივი და რა გაუჭირდათ მოსწავლეებს.
- გამოყენებული სწავლების მეთოდებიდან, რომელი მიაჩნიათ წარმატებულად და რატომ?
- სწავლების სტრატეგიებიდან და გამოყენებული რესურსებიდან რომელია წარმატებული და რომლის გამოყენება იყო არაეფექტური?

შედეგებიდან გამომდინარე, წლის ბოლოს კათედრა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ხოლო წლის დასაწყისში შედეგების განმეორებითი გადახედვისა და მიღებული შედეგების საფუძველზე ახდენს ძველ კურიკულუმში ცვლილებების შეტანას. ამ გზით ყალიბდება კურიკულუმი ახალი სასწავლო წლისათვის.

ცხადია, წინა წლების კურიკულუმები არის ერთ-ერთი მთავარი რესურსი სხვადასხვა რესურსებს შორის (სტანდარტის შედეგები, ეროვნული სასწავლო გეგმა, ეროვნული მიზნების დოკუმენტი და ა.შ.), რომელთა საფუძველზეც იქმნება ახალი კურიკულუმი. იგი ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაზე, სადაც გრძელვადიანი მიზნები კათედრის წევრთა მონაწილეობით იყოფა შუალედურ მიზნებად. შუალედური მიზნების განსახორციელებლად თითოეული თემისათვის კეთდება თემატური დაგეგმვის ცხრილი. თითოეული კლასისათვის კონკრეტულ თემასთან მიმართებაში ვააქტიურებთ სამიზნე ცნებებს. იმის შესაბამისად, თუ რომელ სამიზნე ცნებას ვააქტიურებ ან რა კომპეტენციებზე ვამახვილებ ყურადღებას, დაგეგმარების ცხრილს ვყოფთ რამდენიმე ნაწილად. შევიმუშავებთ თითოეული ნაწილისათვის საკითხთა კლასტერს, რომელიც შედგება საკითხებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალისაგან. ყოველი თემის ბოლოს მოსწავლეთა მიღწევების დონის დასადგენად მასწავლებლები საკითხთა კლასტერის საფუძველზე ირჩევენ განსახორციელებელი პროექტის თემას. ასევე იმ ძირითად და დამხმარე რესურსებს, რომლებსაც ვიყენებთ საგნობრივი კურიკულუმის რეალიზებისას. რესურსებს შორის ერთ-ერთი მთავარია სასკოლო სახელმძღვანელო. სკოლა თავისუფალია სახელმძღვანელოს არჩევანში. შერჩევა ხდება კათედრის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. სკოლაში სახელმძღვანელო საერთოა ამ კლასის ყველა მოსწავლისათვის. შეფასების კრიტერიუმების შერჩევაც ხდება კათედრის წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ცხადია, შუალედურ მიზნებზე მუშაობისას ვხელმძღვანელობთ გრძელვადიანი მიზნებით.

კათედრის მუშაობის პირობებში ყველა წევრი მობილიზებულია ურთიერთთანამშრომლობის, საქმისადმი ერთგულების, პასუხისმგებლობისა და ტოლერანტობის მაღალი ხარისხისათვის. ცხადია, საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობა ცოცხალი პროცესია, სადაც წლის განმავლობაში საჭიროებიდან გამომდინარე ხდება შემუშავებულ კურიკულუმში სასწავლო თემების გადაადგილება, საკითხებისა და ქვესაკითხების ცვლილებები, კომპლექსური დავალების შეცვლა და ა.შ. ამასთან, კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებ:

1. მოცემულ კლასში რამდენი თემა ისწავლება (სავალდებულო).
2. მოცემულ თემასთან დაკავშირებულ რომელ სამიზნე ცნებას ვააქტიურებთ.
3. სამიზნე ცნებების მიმართ ვსვამ საკვანძო კითხვებს, რომელთა საფუძველზე წარმოვაჩენთ საკითხთა კლასტერებს და ვახდენ თემატურ დაგეგმარებას.
4. თემატური დაგეგმარებისას გვაქვს საკითხები და ქვესაკითხები, რომლებსაც ვასწავლი მოცემული თემის ფარგლებში და რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე.
5. განხილულთა საფუძველზე ყოველი თემის ბოლოს საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად ვგეგმავ სხვადასხვა აქტივობებს მათ შორის პროექტებსაც.

6. ვადგენ შეფასების კრიტერიუმებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ხდება საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა. გაკვეთილის დაგეგმვა უმნიშვნელოვანესია, რამდენადაც სასწავლო პროცესის ხარისხი დიდწილად თითოეული ჩატარებული გაკვეთილის ხარისხზე დგას. გაკვეთილის დაგეგმვაშიც გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის წევრთა პრაქტიკული გამოცდილებები. თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებულ გამოცდილებას კათედრის წევრები მუდმივად ვუზიარებთ ერთმანეთს, და ხდება გამოცდილების (დადებითი შედეგის შემთხვევაში) გამოყენება საგაკვეთილო პროცესის როგორც დაგეგმვის, ასევე წარმართვისას. საგაკვეთილო პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა გაკვეთილის მიზანია, ხოლო გაკვეთილის ამოცანა – მოსწავლის სასურველ შედეგზე გასვლა.

სასწავლო პროცესს ვმართავ ინტერაქტიულ მეთოდებზე დაყრდნობით. ვცდილობ, გაკვეთილის თემა დავაკავშირო გარე სამყაროსა და იქ მიმდინარე პროცესებს, რათა თემა, რომელსაც ვეხებით მოსწავლეთათვის უფრო საინტერესო იყოს. საგაკვეთილო პროცესში ახალი ინფორმაციის მიწოდებამდე ვახდენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. წინარე ცოდნის გააქტიურებისას კი ძირითადად ვიყენებ მიმართულების მიმცემ საკვანძო კითხვებს. ამ შემთხვევისათვის განსაკუთრებული ყურადღებით ვარჩევ ტერმინოლოგიასა თუ თვალსაჩინოებებს, რათა მოსწავლეებს მყარ საფუძველი შეეუქმნა ახალი ცოდნის „კონსტრუირებისათვის“. ასევე ცნებებსა თუ ქვეცნებებზე მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების მიზნით მოსწავლეებს დროდადრო ვაწვდი „სიახლეებს“, ვსვამ „პრობლემას“ და აქტიურად ვიყენებ გაკვეთილისათვის შერჩეულ სასწავლო რესურსებს და ტექნოლოგიებს. აქტივობების შერჩევისას მუდმივად ვცდილობ, კლასში დამუშავდეს იმ ტიპის აქტივობები, რომლებიც საშუალებას მომცემს საგაკვეთილო პროცესში ჩავრთო ყველა მოსწავლე და თითოეულს ვუპასუხო უკუკავშირით. გამოყენებული ტექნოლოგიების, თვალსაჩინოებების, გამოყენებული კერძო მეთოდების თუ დასმული კითხვების ამოცანაა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება.

ახსნა-განმარტების, გაცვლა-გამოცვლისა და საკვანძო მიმმართველი კითხვების ფონზე წარმართული გაკვეთილი გამოირჩევა მოსწავლეთა გააქტიურებით. აქ მოსწავლეები ცდილობენ პასუხი გასცენ დასმულ კითხვებს. მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვებისა და მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები აგროვებენ, ახარისხებენ, ადარებენ მიღებულ ინფორმაციებს გაიაზრებენ და ცდილობენ დასკვნის გამოტანას, რომ უპასუხონ დასმულ კითხვებს (კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება), რათა მოსწავლემ თვითონ შეძლოს სათანადო „სამუშაოს“ შესრულება (კეთებით სწავლება) და სწავლების პროცესში „აღმოაჩინოს“ დასკვნები, როგორც მთელ საგაკვეთილო პროცესში, ასევე ინდივიდუალური, წყვილებში თუ ჯგუფური მუშაობისას (ურთიერთანამშრომლობა).

მუდმივად ვითვალისწინებ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და გაკვეთილის წარმართვისას ორიენტირებას ვახდენ გაკვეთილის მიზანზე (შუალედური მიზანი, რომელსაც მიგვაყვართ გრძელვადიანი მიზნების დაძლევადაც), მოსწავლეებთან მუდმივი კომუნიკაცია და სასწავლო თემის სპეციფიკა მკარნახობს, თითოეული გაკვეთილისათვის რომელი სტრატეგიები, აქტივობები და მეთოდები უნდა შეირჩეს. რომელი უფრო ეფექტური იქნება მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად. ამ გზითვე ვირჩევ სასწავლო რესურსებსაც, შესაბამის სასწავლო მასალასაც და ციფრულ ტექნოლოგიებს. წინარე ცოდნის გააქტიურებისა და მასზე „დაშენებული“ ახალი ცოდნის შეძენას, ცხადია მოსწავლე მიყავს ესგ-ის მიღწევების დონის დაძლევადაც.

პრობლემების დასმისას ყურადღებას ვამახვილებ პრობლემის იმ კუთხით წარმოჩენაზე, რომელიც მოცემულ თემას რეალურ ცხოვრებასა თუ სხვა საგნებთან აკავშირებს, რასაც ასევე ვითვალისწინებ დავალების ორგანიზებისასაც (პროექტული თუ სხვა დავალება). ცხადია, ყოველივე განსაზღვრავს აქტიური სწავლების პროცესს, როცა ხორციელდება კომუნიკაცია როგორც მოსწავლეთა, ასევე მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მოსწავლეთა ქმედებებისა და სააზროვნო უნარების ასეთი მიმართულება მოსწავლეებს უვითარებს შრომის უნარჩვევებს, პასუხისმგებლობასა თუ სხვა კომპეტენციებს, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს მის მოქალაქეობრივ თვისებებსა თუ ხასიათს (მოქალაქეობა და ხასიათი).

ამრიგად, მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით გაკვეთილის წარმართვა პასუხობს კონსტრუქტივისტულ პრინციპებსა და უზრუნველყოფს ფუნქციურ-კომპოტენტური უნარების განვითარებას, რაც საბოლოოდ მოსწავლეს მიიყვანს ესგ-ის მიღწევების დონის დაძლევადაც. ცხადია, ესგ-ს ძირითადი მიზანი მოსწავლის მიღწევების დონის ამაღლებასა და პიროვნულ ჩამოყალიბებაზე

ზრუნვაა, რისთვისაც აუცილებელია მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების (სასწავლო შედეგების) მუდმივი მონიტორინგი, რომლის შედეგებიც განისაზღვრება მოსწავლეთა შეფასებით.

თანამედროვე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მონიტორინგი და შეფასება ხდება სასწავლო პროცესის წარმართვისას საგაკვეთილო პროცესის თანადროულად, აქ აქტიური გაკვეთილი საშუალებას იძლევა, მოსწავლე შეფასდეს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. მოსწავლეებისა და მასწავლებლის ურთიერთთანამშრომლობის პირობებში, სადაც ძირითად როლში მოსწავლეა, მასწავლებელი კი მიმართულების მიმცემი კითხვებითა და უკუკავშირებით საგაკვეთილო პროცესს აძლევს სწორ მიმართულებას. თუმცა, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელების ძირითად საშუალებად ვიყენებ სხვადასხვა პროექტებსა თუ შემაჯამებელ დავალებებს, რაც ემსახურება სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებასა და მკვიდრი წარმოდგენების განმტკიცებას. იგივე ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების შესრულებისას, თუმცა ის უფრო საკვანძო შეკითხვების პასუხისთვისაა გამიზნული.

იმისათვის, რომ მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიები შეესაბამებოდეს მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და თავისებურებებს, დავალებათა საკითხების შემუშავებისას ვითვალისწინებ შემდეგს:

ა) რომელი სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს და რა მკვიდრი წარმოდგენები მინდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს.

ბ) დავალებისათვის შერჩეული საკითხი ორიენტირებული იყოს სამიზნე ცნებებზე.

გ) რა პროდუქტი უნდა შეიქმნას პროცესის დასრულებისას.

დ) რა რესურსები და აქტივობები იქნება მიზანშეწონილი ეფექტური მიზნის მისაღწევად.

ე) რომელი სტრატეგია და აქტივობა იქნება მიზანშეწონილი მოცემული პირობებისას.

ასევე, სხვადასხვა დავალებების შერჩევამდე მიმაჩნია, რომ მუდმივად უნდა ვაკვირდებოდეთ საგაკვეთილო პროცესს, რათა შემძლოს ზუსტად განვსაზღვრო მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და თავისებურებები, რის საფუძველზეც ვახდენ პროექტისა თუ სხვა დავალების შერჩევასა და კორექტირებას.

საბოლოოდ, მოსწავლეებს ვაცნობ დავალების პირობებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ფორმას, თუ როგორი სახით უნდა წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა (პრეზენტაცია, წერილობითი, შეკითხვები და ა.შ.). შემდგომ კი გამიზნულია აქტივობები მოცემული დავალების წარმატებით შესასრულებლად. ამ პროცესში ძირითადი წარმმართველი ძალა მოსწავლეები არიან. ისინი თვითონვე ახდენენ ურთიერთშეფასებასა და უკუკავშირს. მასწავლებელი კი პროცესის ფასილიტატორია, რომელიც „პრობლემის დასმით“, მიმართულების მიმცემი კითხვებით, თითოეული მოსწავლისადმი უკუკავშირითა და იმის გათვალისწინებით, თუ რა სამიზნე ცნებებს ვაპქტიურებთ, ზრუნავს საგაკვეთილო პროცესის სწორად წარმართვისათვის.

სასწავლო შედეგების შეფასებას ვახდენ ესგ-ის სტანდარტების შესაბამისად, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით. განმსაზღვრელ შეფასებას ვახორციელებ ეროვნული სასწავლო გეგმის ტაქსონომიის ხუთი დონის გათვალისწინებით. ვაკეთებ დასკვნას, თუ რა იცის, რა არ იცის, რა შეძლო, რა ვერ შეძლო მოსწავლემ, რა ხარვეზი აქვს, რა გამოვასწოროთ, სად ესაჭიროება უფრო მეტი სიღრმისეული გააზრება და ა.შ. (აქტივობიდან გამომდინარე). ხოლო განმავითარებელი შეფასებისას ფასდება მოსწავლის პროგრესი, ანუ მისი მიღწევები წინა დონესთან მიმართებაში. მონიტორინგი და შეფასება არკვევს სასწავლო პროცესების ეფექტებს, მიღწევებსა თუ სხვა შედეგებს.

მიღებული შედეგების დამუშავებითა და შედეგების გააზრებით ვადგენთ:

ა) რამდენად ეფექტურად იმუშავა კონკრეტულმა დავალებამ.

ბ) რომელმა სტრატეგიამ იმუშავა უკეთ და რომელმა არა.

გ) რა აქტივობები იყო უფრო ეფექტური და როგორ შეიძლება მათგან ზოგიერთის შეცვლა მეტი ეფექტის მისაღებად.

დ) ზოგადად რა შეიძლება შევცვალოთ უფრო მაღალი ეფექტის მისაღებად.

ამ შედეგებს მუდმივად ვუზიარებ კათედრის წევრებს, რათა ერთად ვიმსჯელოთ ზემოაღნიშნულ საკითხთა გადაჭრაში.

ცხადია, მონიტორინგი და შეფასება გარდა იმისა, რომ გვეხმარება მოსწავლეთა მიღწევების დონისა და იმის გარკვევაში, თუ რა შედეგებამდე მივდით. იგი არის საუკეთესო საშუალება პრობლემათა გადაჭრისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

დასკვნა

ამრიგად, არაპირდაპირი სწავლების სტრატეგია, სადაც მოსწავლე თავად მართავს საგაკვეთილო პროცესს, არის სწავლების თანამედროვე მოთხოვნების რეალიზების საუკეთესო საშუალება. ასეთი სტრატეგია მოსწავლეს აიძულებს ქმედებათა სიღრმისეულ გააზრებასა და უზრუნველყოფს სააზროვნო უნარების ეფექტურად გაუმჯობესებას.

The Educational Process and Contemporary Challenges

Mediko Chachibaia

Abstract

This article examines the effectiveness of interactive teaching methods, with a particular emphasis on the indirect teaching strategy – an approach in which students take an active role in directing their own learning, while the teacher serves as a supportive guide throughout the process. Under these conditions, students are encouraged to receive, process, and organize information independently, fostering critical thinking, problem-solving abilities and a deeper understanding of the world around them. Ultimately, this method fosters the development of cognitive abilities and promotes substantial progress across multiple areas of academic achievement outlined in the national educational curriculum.